



შპს ორიენტორის დირექტორის ბრძანება



№ 00008631



06/06/2025

შპს ორიენტორში კვლევის ჩატარების სახელმძღვანელოს დამტკიცების შესახებ

შპს ორიენტორის წესდების და კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2025 წლის 05 ივნისის N8512 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს შპს ორიენტორში კვლევის ჩატარების სახელმძღვანელო დანართის შესაბამისად.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს შპს ორიენტორის დირექტორის 2025 წლის 26 მარტის N4237 ბრძანება.
3. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ROOT

შპს ორიენტორი

დირექტორი

მაჭარაშვილი რამაზ

ნ. გაჭაიაშვილი



შპს ორიენტირი

კვლევის ჩატარების სახელმძღვანელო

თბილისი - 2025

შინაარსი

შესავალი -----	2
I. კვლევის მეთოდოლოგია-----	3
II. შპს „ორიენტირის“ მიერ დაგეგმილი კვლევის ტიპები-----	4
1. პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა	
2. პროფესიული განათლების პროგრამის ხელმძღვანელთა კმაყოფილების კვლევა	
3. პროფესიული განათლების მასწავლებელთა კმაყოფილების კვლევა	
4. მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების პროგრამის მსმენელთა კმაყოფილების კვლევა	
5. ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების კვლევა	
6. კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევა	
7. დამსაქმებლის/ პრაქტიკის ობიექტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება	
III. კვლევის განხორციელების პროცედურები, პროცესი და პერიოდულობა -----	6
1. პასუხისმგებელი პირები	
2. კვლევის ინსტრუმენტის მომზადება, მოდიფიკაცია	
3. კვლევის ადმინისტრირება	
IV. შედეგების ანალიზი და ანგარიშგება -----	12
V. კვლევის შედეგების გავრცელება და ინტეგრაცია -----	12
დანართები -----	13- 42



შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს შპს „ორიენტირის“ პროცესების და საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების და კმაყოფილების კვლევების განხორციელების სახელმძღვანელოს.

იმისათვის რომ კოლეჯმა მუდმივად იზრუნოს სწავლების და სხვა სერვისების ხარისხის გაუმჯობესებაზე, უპასუხოს მისი ძირითადი დაინტერესებული მხარეების მოლოდინებს, აუცილებელია დანერგოს სხვადასხვა ტიპის კვლევები.

კვლევის სახელმძღვანელოში აღწერილია დაგეგმილი კვლევების ტიპები, მათი განხორციელების პერიოდულობა და მეთოდოლოგია. დანართის სახით დოკუმენტს ახლავს გამოკითხვის ინსტრუმენტები/კითხვარები, რომელსაც კოლეჯი პერიოდულად გამოიყენებს ხარისხზე თვალყურის დევნებისთვის და მისი გაუმჯობესებისთვის.

კითხვარები ექვემდებარება განახლებას და საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალურად სპეციფიკური მოთხოვნების გათვალისწინებას.

კვლევების მიზანია ხელი შეუწყოს როგორც კოლეჯის შიდა გარემოს გამოწვევების იდენტიფიცირებას, ისე გარე დაინტერესებული მხარეების, დამსაქმებლების საჭიროებების დადგენას.

კოლეჯის შიდა გარემოს შესწავლისთვის კვლევების სამიზნე აუდიტორიაა პროფესიული სტუდენტები, პროფესიული განათლების მასწავლებლები, ადმინისტრაციული პერსონალი, კურსდამთავრებულები. გარე დაინტერესებული მხარეების საჭიროებების დადგენისთვის კვლევების სამიზნე აუდიტორიაა დამსაქმებლები/პრაქტიკის ობიექტები, პროფესიული ასოციაციები და შრომის ბაზარზე მოქმედი, პროფესიულ სტუდენტთა პოტენციური დამსაქმებლები.

კვლევების შედეგების და შეფასების გაანალიზება დაეხმარება კოლეჯს, განახორციელოს მისი მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმები ხარისხის გაუმჯობესების კუთხით. რეგულარული კვლევების განხორციელება არის სასწავლო პროცესებზე დაკვირვების, მონიტორინგის ერთ-ერთი ინსტრუმენტი.

სახელმძღვანელოს მიზანია კვლევების განხორციელების, ანალიზის და რეაგირებისათვის შექმნას სტანდარტიზებული გზამკვლევი.



I. კვლევის მეთოდოლოგია

შპს ორიენტირი, დაგეგმილი კვლევების ჩატარების მეთოდოლოგია ეფუძნება სოციოლოგიური კვლევის მეთოდს, კერძოდ კი კვლევის მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად იყენებს რაოდენობრივი კვლევის მეთოდს, რომელიც საფუძვლად უდევს კვლევის ინსტრუმენტის (კითხვარების დიზაინს) შემუშავებას.

რაოდენობრივი კვლევის მეთოდი, პოპულარული და ფართოდ გავრცელებული მეთოდია. იგი მიჩნეულია მონაცემების მოპოვების საიმედო და აღიარებულ ტექნიკად. რაოდენობრივი კვლევის მეთოდი მკვლევართა მიერ მიჩნეულია, ობიექტური რეალობის წდომის უკეთეს შესაძლებლობად, ვიდრე თვისებრივი კვლევის მეთოდები, რომლებიც დიდადაა დამოკიდებული მკვლევართა სუბიექტურ ინტერპრეტაციაზე.

კვლევის მეთოდი: კოლეჯში კვლევები ჩატარდება გამოკითხვის, კერძოდ წინასწარ შემუშავებული კითხვარების გამოყენებით.

კოლეჯში, რაოდენობრივი კვლევასთან ერთად საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია გამოყენებული იქნეს თვისებრივი კვლევის მეთოდიც, კერძოდ, ფოკუს ჯგუფის მეთოდი. ფოკუს ჯგუფის მეთოდის გამოყენება შესაძლებელია როგორც კვლევის დამოუკიდებელი მეთოდი, ასევე როგორც რაოდენობრივი კვლევის მეთოდის შემავსებელი მეთოდი. კოლეჯში, ჩატარებული რომელიმე კვლევის მონაცემების შეჯამების შემდეგ, შესაძლებელია საჭირო გახდეს მიღებული მონაცემების და ინფორმაციის დაზუსტება. ამ დროს, მიზანშეწონილია ჩატარდეს ჯგუფური დისკუსია, რომელიც საშუალებას იძლევა დაზუსტდეს, რაოდენობრივი კვლევის შედეგად გამოვლენილ პრობლემური საკითხები და უფრო ღრმად იქნეს შესწავლილი ისინი. ფოკუს ჯგუფში, დისკუსია მიმდინარეობს შესაბამისი რესპონდენტების/სამიზნე ჯგუფის წევრების მონაწილეობით.

თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში, კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იღებს გადაწყვეტილებას ვინ იქნება სამიზნე ჯგუფი და რამდენი დისკუსია გაიმართება.



II. შპს ორიენტირის მიერ დაგეგმილი კვლევის ტიპები

1. პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა

პროფესიულ სტუდენტის ზოგადი კმაყოფილების კვლევა არის რეგულარული კვლევა და წარმოადგენს ერთ-ერთი ინსტრუმენტს იმისათვის, რომ შეფასდეს, რამდენად შესაძლებელია საგანმანათლებლო პროგრამის დასახული მიზნების მიღწევა. კვლევის მიზანია, პროფესიულ სტუდენტებისაგან უკუკავშირის მიღება, თუ რამდენად გამართლდა მათი მოლოდინები. კერძოდ, მათ პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით, როგორ აფასებენ : სასწავლო პროცესს, (მათ შორის დისტანციურს), მასწავლებლებს, პროფესიულ პროგრამებს, კოლეჯის ინფრასტრუქტურას, მატერიალური რესურსებს, საბიბლიოთეკო რესურსებს, ადმინისტრაციული მხარდაჭერას, დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებას, სტუდენტების მიერ ინიცირებული აქტივობების მხარდაჭერას და სხვ. თითოეული ინდიკატორით პროფესიული სტუდენტების კმაყოფილების შეფასება დაეხმარება კოლეჯს, პრობლემების იდენტიფიცირებაში და პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პროცესის და სერვისების ხარისხის გაუმჯობესებაში (დანართი 1).

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელთა კმაყოფილების კვლევა

პროგრამის ხელმძღვანელთა კმაყოფილების კვლევის მიზანია მათგან, კოლეჯის საქმიანობის შესახებ უკუკავშირის მიღება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: ადმინისტრაციული მხარდაჭერა, პროფესიული განვითარებისთვის საჭიროებების გამოვლენა, პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა/ინიციატივების მხარდაჭერა, კოლეჯის ინფრასტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი საინფორმაციო ტექნოლოგიების, საბიბლიოთეკო რესურსების არსებობა და ხელმისაწვდომობა (მათ შორის ელექტრონული რესურსების) სასწავლო პროცესის მასალებით/ნედლეულით უზრუნველყოფა და სხვ. (დანართი 2).

3. პროფესიულ განათლების მასწავლებელთა/პროგრამის ხელმძღვანელთა კმაყოფილების კვლევა

პროფესიული განათლების მასწავლებელთა კმაყოფილების კვლევის მიზანია მათგან, კოლეჯის საქმიანობის შესახებ უკუკავშირის მიღება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: ადმინისტრაციული მხარდაჭერა, სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის უზრუნველყოფა,



პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის საჭიროებების გამოვლენა, პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა/ინიციატივების მხარდაჭერა, კოლეჯის ინფრასტრუქტურა (სამუშაო და დასასვენებელი სივრცე), საგანმანათლებლო პროგრამები შესაბამისი საინფორმაციო ტექნოლოგიების, საბიბლიოთეკო რესურსების არსებობა და ხელმისაწვდომობა (მათ შორის ელექტრონული რესურსების) სასწავლო პროცესის მასალებით/ნედლეულით უზრუნველყოფა და სხვ. (დანართი 3).

4. მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების პროგრამის მსმენელთა კმაყოფილების კვლევა

მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების პროგრამის მსმენელთა კმაყოფილების კვლევის მიზანია კოლეჯში, მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების პროგრამაში ჩართული მსმენელების კმაყოფილების კვლევის განხორციელება, მსმენელებისგან უკუკავშირის მიღება, იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად გამართლდა მათი მოლოდინები, პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით. (დანართი 4).

5. ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების კვლევა

ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვის მიზანია: კოლეჯის შემდგომი განვითარებისთვის, სხვადასხვა ინდიკატორით შეაფასოს კოლეჯის მართვის პროცესები; მოახდინოს განვითარების შესაძლებლობების იდენტიფიცირება; მიიღოს უკუკავშირი კოლეჯის ადმინისტრაციული პერსონალისგან მათი საქმიანობის შესახებ შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: მართვის პროცესებში ჩართულობა, ინფრასტრუქტურა (სამუშაო და დასასვენებელი სივრცე), პერსონალის განვითარებაზე ზრუნვა, ინიციატივების მხარდაჭერა და სხვ. (დანართი 5).

6. კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევა

კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევა წარმოადგენს იმ ცვლილებების შეფასების ინსტრუმენტს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა კურსდამთავრებულთა ცხოვრებაში სწავლის დასრულების შემდეგ. შეგროვებული მონაცემები მოიცავს, როგორც კურსდამთავრებულთა შესახებ ფაქტობრივ ინფორმაციას, ასევე მათ აღქმებს, დამოკიდებულებებსა და შეფასებებს საკუთარ პროფესიულ გადაწყვეტილებებსა და მასთან დაკავშირებულ პროცესებზე. კოლეჯის კურსდამთავრებულთა გამოკითხვა არის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგის მიღწევის შეფასების ერთ-ერთი საშუალება. მათგან მიღებული უკუკავშირი, საშუალებას აძლევს კოლეჯს დააკვირდეს, თვალყური ადევნოს საკუთარი კურსდამთავრებულების პროფესიულ განვითარებას /სტატუსს და დაეხმარება სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებაში (იხილეთ დანართი 6).



7. დამსაქმებლის/ პრაქტიკის ობიექტის მიერ საგანმანათლებლო

პროგრამის შეფასება

დამსაქმებლის/ პრაქტიკის ობიექტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება მნიშვნელოვანია, როგორც პროგრამის განხორციელების ეტაპზე, ასევე საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების განხორციელების საჭიროების შეფასების ეტაპზე. გამოკითხის ჩატარება გარკვეული პერიოდულობით, საჭიროა რათა დადასტურდეს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგების და სასწავლო გეგმის შესაბამისობა, შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. შეფასების შედეგების ანალიზი დაეხმარება კოლეჯს საგანმანათლებლო პროგრამების დახვეწაში (დანართი 7).

III. კვლევის განხორციელების პროცედურები, პროცესი და პერიოდულობა

პასუხისმგებელი პირები

კვლევების ჩატარების პასუხისმგებლობა ეკისრებათ:

- ა) პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა - სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახური;
- ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელთა კმაყოფილების კვლევა - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;
- გ) პროფესიულ განათლების მასწავლებელთა/პროგრამის ხელმძღვანელთა კმაყოფილების კვლევა - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;
- დ) მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების პროგრამის მსმენელთა კმაყოფილების კვლევა -- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;
- ე) ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების კვლევა - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;
- ვ) კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევა-საზოგადოებასთან ურთიერთობის, კარიერული და პიროვნული განვითარების მენეჯერი;
- ზ) დამსაქმებლის/ პრაქტიკის ობიექტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება - საზოგადოებასთან ურთიერთობის, კარიერული და პიროვნული განვითარების მენეჯერი.

კვლევის ინსტრუმენტების/კითხვარების მოდიფიკაციისთვის, შედეგების ანალიზის პროცესში შესაძლებელია ჩაერთონ ადმინისტრაციული ერთეულების თანამშრომლები და გარე დაინტერესებული პირები და სხვ.



1. კვლევის ინსტრუმენტის მომზადება, მოდიფიკაცია

შემუშავებული კვლევის ინსტრუმენტები, პერიოდულად საჭიროებს მოდიფიკაციას. ამიტომ, კვლევის ყოველი ახალი ეტაპის დაწყების წინ, შესაძლოა მოხდეს წინა გამოცდილებაზე დაფუძნებით კითხვარის გადახედვა, რომელიმე კითხვის ფორმულირების დახვეწის, ახალი კითხვების დამატების/შეცვლის მიზნით. აღნიშნულ პროცესში შესაძლებელია ჩაერთოს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახური, პროგრამის ხელმძღვანელი/პროფესიული განათლების მასწავლებელი და სხვ.

2. კვლევის ადმინისტრირება

კვლევის ჩატარების პერიოდულობა და სიხშირე განსხვავდება კვლევის ტიპების მიხედვით. ცხრილებში მოცემულია თითოეული კვლევის ტიპის ადმინისტრირების დეტალები.

კვლევის ჩატარების სიხშირე შესაძლებელია განისაზღვროს წინამდებარე დოკუმენტში მითითებული პერიოდულობისგან განსხვავებული სიხშირით საჭიროებიდან გამომდინარე.

რაოდენობრივი კვლევა

ცხრილი 1 პროფესიულ სტუდენტთა ზოგადი კმაყოფილების კვლევა

კვლევის ტიპი	პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა
რესპონდენტები	პროფესიული სტუდენტები
კვლევის ჩატარების სიხშირე	წელიწადში ორჯერ
კვლევის ანგარიშის მომზადება	კვლევის დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი თვე
შერჩევის ტიპი	სრული დაფარვა
პასუხისმგებელი პირი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
გამოკითხვის მეთოდი	ელექტრონული გამოკითხვა
კვლევის ინსტრუმენტი	სტრუქტურირებული ანკეტა ღია და დახურული კითხვებით (იხ. დანართი 1)



ცხრილი 2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელთა კმაყოფილების კვლევა

კვლევის ტიპი	პროგრამის ხელმძღვანელთა კმაყოფილების კვლევა
რესპონდენტები	პროგრამის ხელმძღვანელი
კვლევის ჩატარების სიხშირე	წელიწადში ერთხელ
კვლევის ანგარიშის მომზადება	კვლევის დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი თვე
შერჩევის ტიპი	სრული დაფარვა
პასუხისმგებელი პირი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
გამოკითხვის მეთოდი	ელექტრონული გამოკითხვა
კვლევის ინსტრუმენტი	სტრუქტურირებული ანკეტა ღია და დახურული კითხვებით (იხ. დანართი 2)

ცხრილი 3. პროფესიული განათლების მასწავლებელთა კმაყოფილების კვლევა

კვლევის ტიპი	პროფესიული განათლების მასწავლებლის კმაყოფილების კვლევა
რესპონდენტები	პროფესიული განათლების მასწავლებელი
კვლევის ჩატარების სიხშირე	წელიწადში ერთხელ
კვლევის ანგარიშის მომზადება	კვლევის დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი თვე
შერჩევის ტიპი	სრული დაფარვა
პასუხისმგებელი პირი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
გამოკითხვის მეთოდი	ელექტრონული გამოკითხვა
კვლევის ინსტრუმენტი	სტრუქტურირებული ანკეტა ღია და დახურული კითხვებით (იხ. დანართი 3)



ცხრილი 4. მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების პროგრამის მსმენელთა

კმაყოფილების კვლევა

კვლევის ტიპი	მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების პროგრამის მსმენელთა კმაყოფილების კვლევა
რესპონდენტები	მსმენელები
კვლევის ჩატარების სიხშირე	წელიწადში ერთხელ
კვლევის ანგარიშის მომზადება	კვლევის დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი თვე
შერჩევის ტიპი	სრული დაფარვა
პასუხისმგებელი პირი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
გამოკითხვის მეთოდი	ელექტრონული გამოკითხვა
კვლევის ინსტრუმენტი	სტრუქტურირებული ანკეტა ღია და დახურული კითხვებით (იხ. დანართი 4)

ცხრილი 5. ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების კვლევა

კვლევის ტიპი	ადმინისტრაციული პერსონალის კვლევა
რესპოდენტი	ადმინისტრაციული პერსონალი
კვლევის ჩატარების სიხშირე	ერთხელ წელიწადში, კალენდალური წლის ბოლოს
კვლევის ანგარიშის მომზადება	კვლევის დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი თვე
შერჩევის ტიპი	სრული დაფარვა
პასუხისმგებელი პირი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
გამოკითხვის მეთოდი	ელექტრონული გამოკითხვა
კვლევის ინსტრუმენტი	სტრუქტურირებული ანკეტა ღია და დახურული კითხვებით (იხ. დანართი 5)



ცხრილი 6. კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევა

კვლევის ტიპი	კურსდამთავრებულთა დასაქმებლის მაჩვენებლის კვლევა; საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება
რესპონდენტები	კოლეჯის კურსდამთავრებულები
კვლევის ჩატარების სიხშირე	სწავლის დასრულებიდან ერთი წლის შემდეგ
კვლევის ანგარიშის მომზადება	გამოკითხვის დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი თვე
შერჩევის ტიპი	სრული დაფარვა
პასუხისმგებელი პირი	საზოგადოებასთან ურთიერთობის, კარიერული და პიროვნული განვითარების მენეჯერი
გამოკითხვის მეთოდი	ელექტრონული გამოკითხვა
კვლევის ინსტრუმენტი	სტრუქტურირებული ანკეტა ღია და დახურული კითხვებით (იხ. დანართი 6)

ცხრილი 7. დამსაქმებლის /პრაქტიკის ობიექტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება

კვლევის ტიპი	დამსაქმებლის/პრაქტიკის ობიექტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება
რესპონდენტები	დამსაქმებლები/პრაქტიკის ობიექტები
კვლევის ჩატარების სიხშირე	წელიწადში ერთხელ
კვლევის ანგარიშის მომზადება	გამოკითხვის დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი თვე
შერჩევის ტიპი	სრული დაფარვა
პასუხისმგებელი პირი	საზოგადოებასთან ურთიერთობის, კარიერული და პიროვნული განვითარების მენეჯერი
გამოკითხვის მეთოდი	ელექტრონული გამოკითხვა
კვლევის ინსტრუმენტი	სტრუქტურირებული ანკეტა ღია და დახურული კითხვებით (იხ. დანართი 7)



თვისებრივი კვლევის მეთოდი - ფოკუს ჯგუფი

კვლევის ტიპი	თვისებრივი კვლევის მეთოდი / ფოკუს ჯგუფი
რესპონდენტები/ჯგუფის მონაწილეები	შეირჩევა ძირითადი კვლევის ამოცანებიდან გამომდინარე (პროფესიული განათლების მასწავლებლები, პროფესიულ სტუდენტები, დამსაქმებლები/პრაქტიკის ობიექტები, ადმინისტრაციული პერსონალი)
კვლევის ჩატარების სიხშირე	საჭიროებისამებრ
კვლევის ანგარიშის მომზადება	დისკუსიების გამართვიდან არაუგვიანეს ერთი თვისა
შერჩევის ტიპი	მიზნობრივი
ერთ ჯგუფში მონაწილეთა რაოდენობა	8-12 მონაწილე
პასუხისმგებელი პირი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
კვლევის ინსტრუმენტი	ფოკუს ჯგუფის სახელმძღვანელო, რომელიც ყოველი კონკრეტული კვლევისთვის შეიქმნება ინდივიდუალურად



IV - კვლევის შედეგების ანალიზი და ანგარიშგება

კვლევის შედეგების ანალიზზე და ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

კმაყოფილების კვლევის ანალიზის შედეგად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს რეკომენდაციებს. შედეგები ეცნობება სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს, კვლევის შედეგად გამოვლენილი გასაუმჯობესებელი მხარეების გამოსწორების მიზნით.

კვლევის შესაბამისი შედეგები განსახილველად უნდა წარედგინოს კოლეჯის დირექტორს, სტრუქტურულ ერთეულებს/პროგრამების განმახორციელებელ პერსონალს (პროგრამის ხელმძღვანელს, პროფესიული განათლების მასწავლებლებს).

კვლევის შედეგებზე და რეკომენდაციებზე დაყრდნობით შესაბამისი სტრუქტურული ერთეული/პირი ახორციელებს რეაგირებას და შედეგებს ანგარიშის სახით წარუდგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

გამოკითხვა/ კვლევა რეგულარულ ხასიათს ატარებს, რაც გამოკითხვის შედეგებზე რეაგირების ეფექტურობის შეფასების საშუალებას იძლევა.

V - კვლევის შედეგების გავრცელება და ინტეგრაცია

კვლევის შედეგებზე რეაგირების გავრცელება ხდება კვლევაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეებთან. კვლევის შედეგებზე რეაგირების გავრცელება ხელს უწყობს რესპონდენტების კვლევებში მონაწილეობის მოტივაციისა და ხარისხის ამაღლებას.

კვლევის შედეგების გამოყენება ხდება კოლეჯში მიმდინარე პროცესების ხარისხის მუდმივი გაუმჯობესებისათვის.

დანართები:

1. პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის კითხვარი;
2. პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პროგრამის ხელმძღვანელთა კმაყოფილების კვლევის კითხვარი;
3. ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების კვლევის კითხვარი;
4. კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევის კითხვარი;
5. დამსაქმებლის /პრაქტიკის ობიექტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კითხვარი.



შპს ორიენტირი პროფესიული სტუდენტის კმაყოფილების კვლევა

მიმდინარე გამოკითხვის მიზანია, პროფესიულ სტუდენტის ზოგადი კმაყოფილების კვლევის შესწავლა. კვლევის მიზანია, თქვენგან უკუკავშირის მიღება. კერძოდ, იმის შეფასება თუ როგორ აფასებთ: სასწავლო პროცესს, მასწავლებლებს, კოლეჯის ინფრასტრუქტურას, მატერიალური რესურსებს, საბიბლიოთეკო რესურსებს, ადმინისტრაციული მხარდაჭერას, დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებას, თქვენ მიერ ინიცირებული აქტივობების მხარდაჭერას და სხვ.

თქვენგან უკუკავშირის მიღება, მნიშვნელოვანია კოლეჯში მიმდინარე სასწავლო პროცესების და პროფესიულ სტუდენტთა სერვისების ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

კითხვარის შესავსებად დაგჭირდებათ 10 -15 წუთი. გამოკითხვა ანონიმურია.

1. გთხოვთ მიუთითოთ თქვენი ასაკი
 - ა. 19-21
 - ბ. 25-27
 - გ. 28 და ზემოთ
2. გთხოვთ მიუთითოთ თქვენი სქესი
 - ა. მდედრობითი
 - ბ. მამრობითი
3. გთხოვთ მიუთითოთ თქვენი სპეციალური სტატუსი
 - ა. იძულებით გადაადგილებული პირი. სოციალურად დაუცველი პირი
 - გ. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე
 - დ. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი (შშმ პირის გარდა)
 - ე. არ ვარ სპეციალური სტატუსის მქონე პირი
4. რომელ წინმსწრებ განათლებას ფლობდით პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაბარების მომენტისთვის?
 - ა. უმაღლესი განათლება
 - ბ. პროფესიული განათლება
 - გ. ზოგადი განათლებად. საბაზო განათლება
5. რატომ აირჩიეთ კოლეჯი „ორიენტირი“?
 - ა. საინტერესო პროფესიის დაუფლების შესაძლებლობა
 - ბ. მშობლების/ახლობლების /მეგობრის რჩევით
 - გ. პროფესიული პროგრამის/კოლეჯის პრესტიჟულობა
 - დ. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საცხოვრებელ სახლთან სიახლოვე
6. რომელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლობთ
 - ა. საექონო განათლება
 - ბ. ფარმაცია (სააფთიაქო)

- გ. კბილის სატექნიკო საქმე
- დ. საფინანსო სერვისები
- ე. აღმზრდელი

7. თქვენი საქმიანობა კოლეჯში ჩაბარებამდე (შესაძლოა აირჩიოთ რამდენიმე პასუხი)?

- ა. დასაქმებული
- ბ. თვითდასაქმებული
- გ. უმუშევარი
- დ. მოსწავლე/სტუდენტი

9. კოლეჯი გიწევთ დახმარებას სამსახურის

მოძიებასა და დასაქმებაში?

- ა. დიახ
- ბ. მეტ-ნაკლებად
- გ. არა

10. შეაფასეთ რამდენად კმაყოფილი ხართ თქვენი არჩევანით -პროგრამით, რომელზეც სწავლობთ?

- ა. ძალზედ უკმაყოფილო
- ბ. უკმაყოფილო
- გ. მეტ-ნაკლებად კმაყოფილი
- დ. კმაყოფილი
- ე. ძალზედ კმაყოფილი

11. სწავლის პროცესში მასწავლებლებისგან ვიღებ სათანადო კონსულტაციას და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად.

- ა. სრულიად ვეთანხმები
- ბ. მეტ-ნაკლებად ვეთანხმები
- გ. არ ვეთანხმები

12. კოლეჯში სწავლის დაწყებისთანავე, ადმინისტრაცია დამეხმარა სასაწავლო გარემოსთან ადაპტაციაში

- ა. სრულიად ვეთანხმები
- ბ. მეტ-ნაკლებად ვეთანხმები
- გ. არ ვეთანხმებ

13. სასწავლო პროცესში წარმოქმნილ პრობლემებთან დაკავშირებით კოლეჯის ადმინისტრაცია გონივრულ ვადაში მიწევს მხარდაჭერას

- ა. სრულიად ვეთანხმები
- ბ. მეტ-ნაკლებად ვეთანხმები
- გ. არ ვეთანხმებ

14. კოლეჯის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებას და სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას
- ა. სრულიად ვეთანხმები
 - ბ. მეტ-ნაკლებად ვეთანხმები
 - გ. არ ვეთანხმები
15. მოდულზე გათვალისწინებული საათები საკმარისია თეორიული ცოდნის დასაუფლებლად
- ა. სრულიად ვეთანხმები
 - ბ. მეტ-ნაკლებად ვეთანხმები
 - გ. არ ვეთანხმებ
16. მოდულზე გათვალისწინებული საათები საკმარისია პრაქტიკული უნარ-ჩვევების დასაუფლებლად
- ა. სრულიად ვეთანხმები
 - ბ. მეტ-ნაკლებად ვეთანხმები
 - გ. არ ვეთანხმებ
17. პრაქტიკული მეცადინეოები კარგადაა ორგანიზებული და შეესაბამება თეორიულ საკითხებს
- ა. სრულიად ვეთანხმები
 - ბ. მეტ-ნაკლებად ვეთანხმები
 - გ. არ ვეთანხმებ
18. ვიღებ უკუკავშირს მიღწეული სწავლის შედეგების ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ
- ა. სრულიად ვეთანხმები
 - ბ. მეტ-ნაკლებად ვეთანხმები
 - გ. არ ვეთანხმებ
19. კოლეჯს აქვს სტუდენტთა შეფასების გამჭვირვალე სისტემა - წინასწარ გავცანი, თუ როგორ მოხდებოდა ჩემი მიღწევების შეფასება მოდულის/პროგრამის ფარგლებში
- ა. სრულიად ვეთანხმები
 - ბ. მეტ-ნაკლებად ვეთანხმები
 - გ. არ ვეთანხმებ
20. კოლეჯის ბიბლიოთეკაში არსებული სახელმძღვანელოები/სასწავლო ლიტერატურა/ ინტერნეტ - რესურსი აკმაყოფილებს სასწავლო საჭიროებას?
- ა. სრულიად ვეთანხმები
 - ბ. მეტ-ნაკლებად ვეთანხმები
 - გ. არ ვეთანხმებ
21. კოლეჯის ბიბლიოთეკაში არსებული სახელმძღვანელოები/სასწავლო ლიტერატურა/ინტერნეტ-რესურსი საკმარისი და ხელმისაწვდომია
- ა. სრულიად ვეთანხმები
 - ბ. მეტ-ნაკლებად ვეთანხმები
 - გ. არ ვეთანხმებ

22. მომავალშიც ვისურვებ ამავე კოლეჯში სხვა პროგრამის გავლას

- ა. სრულიად ვეთანხმები
- ბ. მეტ-ნაკლებად ვეთანხმები
- გ. არ ვეთანხმებ

23. სასწავლო პროცესში აქტიურად ხდება თანამედროვე ტექნოლოგიების და ეფექტური სწავლების პრაქტიკული მეთოდების გამოყენება.

- ა. სრულიად ვეთანხმები
- ბ. მეტ-ნაკლებად ვეთანხმები
- გ. არ ვეთანხმებ

24. შეესაბამება კოლეჯში მიღებული ცოდნა თქვენს მოლოდინებს?

- ა) დიახ
- ბ) მეტ - ნაკლებად
- გ) ნაწილობრივ

25. მსურველებს ვურჩევდი კოლეჯში „ორიენტირი“ ჩაბარებას

- ა) დიახ
- ბ) არა

26. გთხოვთ, დაასახელოთ ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა (პრობლემები) კოლეჯში სწავლის პერიოდში



შპს ორიენტირი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელების

კმაყოფილების კვლევა

ძვეირფასო კოლეგებო, მიმდინარე გამოკითხვის მიზანია გავიგოთ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელების მოსაზრება/კმაყოფილება, კოლეჯში „ორიენტირი“ მიმდინარე ადმინისტრაციული პროცესების შესახებ. თქვენგან უკუკავშირის მიღება დაგვეხმარება აღნიშნული პროცესების ხარისხის გაუმჯობესებაში, რაც შესაბამისად ხელს შეუწყობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას.

კითხვარის შესავსებად დაგჭირდებათ მაქსიმუმ 15-20 წუთი. გთხოვთ გულწრფელად უპასუხოთ ყველა შეკითხვას.

გამოკითხვა ანონიმურია!

წინასწარ მადლობას გიხდით კითხვარის შევსებისა და თქვენი მოსაზრების გაზიარებისთვის!

1. კოლეჯში ვმუშაობ

- ა. 1 წლამდე
- ბ. ერთი წლიდან 3 წლამდე
- გ. 3 წლიდან 6 წლამდე
- დ. 6 წლიდან 10 წლამდე
- ე. 10 წლის ზევით

2. კოლეჯის ძლიერ მხარედ/ მხარეებად მიმაჩნია

- ა. ადამიანური რესურსი (ადმინისტრაციული)
- ბ. პროგრამების განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლები
- გ. მატერიალურ-ტექნიკური ბაზა
- დ. ანაზღაურების სისტემა
- ე. წახალისების სისტემა

3. ვიცნობ ჩემი სამუშაო პოზიციის თანამდებობრივ ინსტრუქციას

- ა. სრულიად ვეთანხმები
- ბ. უფრო ვეთანხმები ვიდრე არ ვეთანხმები
- გ. უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები
- დ. სრულიად არ ვეთანხმები

4. ჩემი ძლიერ მხარეები, რომლებიც მიმაჩნია, რომ მნიშვნელოვანია პროგრამის ხელმძღვანელისთვის

- ა. მიღებული ფორმალური განათლება
- ბ. საკომუნიკაციო უნარები

- გ. მიღებული არაფორმალური განათლება
- დ. ემოციების მართვის უნარი
- ე. პროფესიული მასწავლებლებისთვის სიახლეების გაზიარების მზაობა
- ვ. კონფლიქტების მართვის უნარი

5. ვასრულებ ყველა იმ ფუნქცია-მოვალეობას, რაც ჩემი პოზიციის შესაბამის თანამდებობრივ ინსტრუქციაშია გაწერილი?
 - ა. დიახ
 - ბ. მეტ - ნაკლებად
 - გ. ვცდილობ შევასრულო
6. კოლეჯის ხელმძღვანელობა ზრუნავს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ინვენტარით, მატერიალური და ტექნიკური რესურსების უზრუნველყოფისთვის
 - ა. სრულიად ვეთანხმები
 - ბ. ნაწილობრივ ვეთანხმები
 - გ. არ ვეთანხმები
 - დ. სრულიად არ ვეთანხმები
7. პროგრამა უზრუნველყოფილია მისი განხორციელებისთვის საჭირო წიგნადი ფონდით და ელექტრონული რესურსით
 - ა. სრულიად ვეთანხმები
 - ბ. უფრო ვეთანხმები ვიდრე არ ვეთანხმები
 - გ. უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები
 - დ. სრულიად არ ვეთანხმები
8. კოლეჯის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ინფორმაციებს ვეცნობი
 - ა. ყოველდღე
 - ბ. კვირაში რამდენჯერმე
 - გ. კვირაში ერთხელ
 - დ. თვეში რამდენჯერმე
 - ე. არ ვეცნობი
9. ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია უტყუარია და არ არის შეცდომაში შემყვანი
 - ა. სრულიად ვეთანხმები
 - ბ. მეტ-ნაკლებად ვეთანხმები
 - გ. არ ვეთანხმები
10. ვიცნობ კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმას

- ა. სრულიად ვეტანხმები
- ბ. არ ვეტანხმები
- გ. სრულიად არ ვეტანხმები

11. ჩართული ვიყავი სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების პროცესში

- ა. სრულიად ვეტანხმები
- ბ. უფრო ვეტანხმები ვიდრე არ ვეტანხმები
- გ. უფრო არ ვეტანხმები, ვიდრე ვეტანხმები
- დ. სრულიად არ ვეტანხმები

12. ვიცნობთ კოლეჯის მისიას და ხედვას

- ა. სრულიად ვეტანხმები
- ბ. უფრო ვეტანხმები ვიდრე არ ვეტანხმები
- გ. უფრო არ ვეტანხმები, ვიდრე ვეტანხმები
- დ. სრულიად არ ვეტანხმები

13. ჩართული ვიყავი კოლეჯის მისიას და ხედვას შემუშავების პროცესში

- ა. სრულიად ვეტანხმები
- ბ. უფრო ვეტანხმები ვიდრე არ ვეტანხმები
- გ. უფრო არ ვეტანხმები, ვიდრე ვეტანხმები
- დ. სრულიად არ ვეტანხმები

14. ვიცნობ კოლეჯის შინაგანაწესს

- ა. სრულიად ვეტანხმები
- ბ. უფრო ვეტანხმები ვიდრე არ ვეტანხმები
- გ. უფრო არ ვეტანხმები, ვიდრე ვეტანხმები
- დ. სრულიად არ ვეტანხმები

15. კოლეჯის სტრუქტურული ერთეულები ეფექტურად და კოორდინირებულად ახორციელებენ თავიანთ ფუნქციებს

- ა. სრულიად ვეტანხმები
- ბ. უფრო ვეტანხმები ვიდრე არ ვეტანხმები
- გ. უფრო არ ვეტანხმები, ვიდრე ვეტანხმები
- დ. სრულიად არ ვეტანხმები

16. კოლეჯის ხელმძღვანელობის მხრიდან ხდება მყისიერი რეაგირება თანამშრომლების ახალ ინიციატივებზე

- ა. სრულიად ვეტანხმები
- ბ. მეტ-ნაკლებად ვეტანხმები
- გ. არ ვეტანხმები

17. რომელი საკითხის ინიცირება მოხდა თქვენი მხრიდან ინიცირებული

18. ვიცნობ კოლეჯში არსებულ პერსონალის წახალისების მექანიზმებს

- ა. სრულიად ვეთანხმები
- ბ. უფრო ვეთანხმები ვიდრე არ ვეთანხმები
- გ. უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები
- დ. სრულიად არ ვეთანხმები

19. კოლეჯს აქვს პერსონალის წახალისების სამართლიანი და გამჭვირვალე მიდგომა

- ა. სრულიად ვეთანხმები
- ბ. უფრო ვეთანხმები ვიდრე არ ვეთანხმები
- გ. უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები
- დ. სრულიად არ ვეთანხმები

20. ჩემ მიმართ განხორციელდა წამახალისებელი ღონისძიება

- ა. სრულიად ვეთანხმები
- ბ. სრულიად არ ვეთანხმები

21. კმაყოფილი ვარ ანაზღაურებით

- ა. ძალზედ უკმაყოფილო
- ბ. უკმაყოფილო
- გ. მეტ-ნაკლებად კმაყოფილი
- დ. კმაყოფილი
- ე. ძალზედ კმაყოფილი

22. კოლეჯი ზრუნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელების პროფესიულ განვითარებაზე

- ა. სრულიად ვეთანხმები
- ბ. უფრო ვეთანხმები ვიდრე არ ვეთანხმები
- გ. უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები
- დ. სრულიად არ ვეთანხმები

23. პროგრამის განხორციელების უკეთ წარმართვის და პიროვნული განვითარების მიზნით, საჭიროდ მიმაჩნია დამატებით ტრენინგების/კონსულტაციების ჩატარება

- ა. სრულიად ვეთანხმები
- ბ. უფრო ვეთანხმები ვიდრე არ ვეთანხმები
- გ. უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები
- დ. სრულიად არ ვეთანხმები

24. რა სახის ტრენინგის გავლას ისურვებდით თქვენი პროფესიული განვითარებისთვის (გთხოვთ მიიუთითოთ)

-
25. ვიცნობთ კოლეჯში დადგენილ უსაფრთხოების წესებს
- ა. სრულიად ვეთანხმები
 - ბ. უფრო ვეთანხმები ვიდრე არ ვეთანხმები
 - გ. უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები
 - დ. სრულიად არ ვეთანხმები
26. კოლეჯის შენობაში, სეზონურად უზრუნველყოფილია შესაბამისი მიკროკლიმატი
- ა. სრულიად ვეთანხმები
 - ბ. უფრო ვეთანხმები ვიდრე არ ვეთანხმები
 - გ. უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები
 - დ. სრულიად არ ვეთანხმები
27. კოლეჯში, სანიტარულ კვანძები აღჭურვილია შესაბამისი რესურსით და დაცულია სისუფთავე (მათ შორის :დაცულია კოვიდრეგულაციები)
- ა. სრულიად ვეთანხმები
 - ბ. უფრო ვეთანხმები ვიდრე არ ვეთანხმები
 - გ. უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები
 - დ. სრულიად არ ვეთანხმები
